

ინფორმაცია 2014 წლის 6 თვის შესრულების შესახებ

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში წარმოდგენილია „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2014 წლის დეკემბერში.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მშპ-ის ზრდა დაგეგმილი იყო 5%-ის ფარგლებში, თუმცა რეგიონში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი რეგიონის ყველა ქვეყნისთვის და მთლიანად რეგიონისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კონსულტაციით, საქართველოს მთავრობის მიერ დაკორექტირდა მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი (2%-მდე) და სხვა ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები და საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის ივლისში დაამტკიცა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი.

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2015 წლის პირველი ექვსი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2.6 პროცენტი შეადგინა. აქედან, 2015 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 3.2 პროცენტი, ხოლო II კვარტალში 2.1 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ივნისის თვის რეალურმა ზრდა 3.1% შეადგინა.

2015 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (17.2%), საფინანსო საქმიანობა (8.9%), სასტუმროები და რესტორნები (8.9%).

ფასები

2015 წლის ივნისში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 2.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2014 წლის ივნისთან შედარებით - 4.5 პროცენტით. ამასთან, 2014 წლის შესაბამის პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 2.0 პროცენტი იყო.

12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასები ალკოჰოლურმა სასმელებმა და თამბაქომ 11.4 პროცენტით, ჯანდაცვამ 7.4 პროცენტით, ხოლო სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 5.7 პროცენტული პუნქტით გაზარდა.

საგარეო სექტორი

2015 წლის იანვარ-ივნისში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 პროცენტით შემცირდა და 4 761 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 1 082 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 3 680 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად, 24 პროცენტით და 9 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ბალანსი არ გაუარესებულა და 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით ნომინალურ გამოხატულებაში უარყოფითი ბალანსი შემცირებულია.

	2014 6 თვე	2015 6 თვე	2014 მეორე კვარტალი	აპრილი	მაისი	ივნისი	2015 მეორე კვარტალი	აპრილი	მაისი	ივნისი
ექსპორტი	1,419.2	1,081.5	723.5	236.8	242.6	244.1	578.9	186.0	194.9	198.0
იმპორტი	4,029.7	3,679.6	2,194.7	682.9	814.2	697.5	1,881.6	562.4	719.6	599.6
ბალანსი	-2,610.5	-2,598.1	-1,471.2	-446.1	-571.7	-453.5	-1,302.7	-376.5	-524.7	-401.6

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2015 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 15.9 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი 8.6, ჩინეთი 7.8, რუსეთი 7.1, უკრაინა 5.4 პროცენტული წილებით და ა.შ.

ექსპორტში 12.1 პროცენტით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე - თურქეთი 10.1 პროცენტით, მესამეზე - ბულგარეთი 9.4 პროცენტით, მეოთხეზე - სომხეთი 9.1 პროცენტით და ა.შ. იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 17.6 პროცენტით, შემდეგ მოდიან ჩინეთი - 8.6 პროცენტი, აზერბაიჯანი - 7.6 პროცენტი, რუსეთი - 7.2 პროცენტი და ა.შ.

ცვლილება მოხდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 12.0 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები - 10.2 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები - 9.2 პროცენტი, თხილი და სხვა კაკალი - 6.8 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები - 6.0 პროცენტი და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.3 პროცენტის წილი უკავია. შემდეგ მოდიან: სამკურნალო საშუალებები - 8.1 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები - 6.6 პროცენტი, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადებია - 6.0 პროცენტი და ა.შ.

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2015 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 005 535,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 4 215 671,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105,2%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 708 200,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 814 376,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,9%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 90 484,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 100 472,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 111,0%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 206 851,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 300 823,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 145,4%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 162 538,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (35 500,0 ათასი ლარი) 457,9%-ია. აქედან, შემოსულობა რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიიდან შეადგენს 90 382,0 ათას ლარს (შპს მობიტელის, შპს ჯეოსელის

და შპს მაგთიკომის მიერ ლიცენზიებით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის თანხები).


ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 39 066,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (33 400,0 ათასი ლარი) 117,0%-ია.

2015 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში


	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	4,005,535.2	4,215,671.9	210,136.7	105.2
გადასახადები	3,708,200.0	3,814,376.5	106,176.5	102.9
საშემოსავლო გადასახადი	967,600.0	1,006,659.8	39,059.8	104.0
მოგების გადასახადი	487,700.0	566,773.0	79,073.0	116.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,634,000.0	1,663,756.9	29,756.9	101.8
აქციზი	417,400.0	373,582.4	-43,817.6	89.5
იმპორტის გადასახადი	54,100.0	35,846.7	-18,253.3	66.3
ქონების გადასახადი	135,000.0	156,957.1	21,957.1	116.3
სხვა გადასახადი	12,400.0	10,800.7	-1,599.3	87.1
გრანტები	90,484.2	100,472.2	9,988.0	111.0
სხვა შემოსავლები	206,851.0	300,823.2	93,972.2	142.4

ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების წლიური და 6 თვის შესრულება 2009-2015 წლებში



ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების წლიური და 6 თვის შესრულება 2009-2015 წლებში



2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 691 179,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 827 372,4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103,7%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 504 100,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 581 024,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,2%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 90 484,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 100 370,4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 110,9%.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 96 595,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 145 977,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 151,1%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 136 573,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26 000,0 ათასი ლარი) 525,3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 38 743,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (33 400,0 ათასი ლარი) 116,0%-ია.

2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	3,691,179.2	3,827,372.4	136,193.2	103.7
გადასახადები	3,504,100.0	3,581,024.8	76,924.8	102.2
გრანტები	90,484.2	100,370.4	9,886.2	110.9
სხვა შემოსავლები	96,595.0	145,977.2	49,382.2	151.1

2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	3,504,100.0	3,581,024.8	76,924.8	102.2
საშემოსავლო გადასახადი	898,500.0	930,301.3	31,801.3	103.5
მოგების გადასახადი	487,700.0	566,773.0	79,073.0	116.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,634,000.0	1,663,756.9	29,756.9	101.8
აქციზი	417,400.0	373,582.4	-43,817.6	89.5
იმპორტის გადასახადი	54,100.0	35,846.7	-18,253.3	66.3
სხვა გადასახადი	12,400.0	10,764.5	-1,635.5	86.8

სახელმწიფო ვალების აღება და დაფარვა

ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 791 391.1 ათასი ლარი, მათ შორის:

- 295 092.4 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 202 476.5 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 293 822.2 ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები.

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდამჭერის კრედიტები	293,822.2
WB	269,085.6
EU	24,736.6
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	202,476.5
IFAD	3,279.9
WB	56,084.1
EBRD	5,864.0
ADB	74,037.2
EIB	16,462.4
საფრანგეთი	5,366.5
იაპონია	36,523.8
გერმანია	4,858.7
სულ კრედიტები	496,298.7

საშინაო ფასიანი ქაღალდები

2015 წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 22 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 624 996.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 46.4% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 29.6% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 20.8% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 3.2% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ შეადგინა 604 001.3 ათასი ლარი, მათ შორის ნომინალს ზევით გადახდილი თანხა 288.8 ათასი ლარი. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 324 200.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და

ობლიგაციები, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 308 908.9 ათასი ლარი, ხოლო დისკონტის თანხამ 15 291.1 ათასი ლარი. 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 295 092.4 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 98.4 %-ს შეადგენს.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N29 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის მოხდა 100 000.0 ათასი ლარის ემისია, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 99 996.0 ათასი ლარი შეადგინა. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

ვალის მომსახურება და დაფარვა


2015 წლის 6 თვეში სახელმწიფოს მიერ ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 382.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- საგარეო ვალდებულებები - 291.8 მლნ ლარი
 - ✓ მომსახურება - 81.0 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 210.8 მლნ ლარი;
- საშინაო ვალდებულებები - 90.2 მლნ ლარი;
 - ✓ მომსახურება - 75.2 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 15.0 მლნ ლარი;

2015 სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელები

საქართველოს 2011-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების
6 თვის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

ათას ლარებში



ათას ლარებში

დასახელება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება	შესრულება %
სულ გადასახდელები	4,572,679.8	4,404,951.3	96.3%
ხარჯები	3,855,269.3	3,740,580.6	97.0%
შრომის ანაზღაურება	687,324.4	669,811.9	97.5%
საქონელი და მომსახურება	441,453.3	413,189.1	93.6%
პროცენტი	162,473.9	156,298.6	96.2%
სუბსიდიები	113,455.1	110,274.2	97.2%
გრანტები	572,990.5	547,634.7	95.6%
სოციალური უზრუნველყოფა	1,343,215.2	1,342,613.2	100.0%
სხვა ხარჯები	534,357.0	500,758.9	93.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	273,471.8	240,784.1	88.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	205,895.7	187,373.3	91.0%
ვალდებულებების კლება	238,043.0	236,213.3	99.2%

სარეზერვო ფონდები და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. ამასთან, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების ასიგნებების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 25 ივნისის N1356 განკარგულების თანახმად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები გაიზარდა 7 000.0 ათასი ლარით და შეადგინა 57 000 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 52 514.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 41 897.7 ათასი ლარი.

✓ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 1 915.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 941.0 ათასი ლარი.

✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 300 000.0 ათასი ლარით. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 8 აპრილის N306 განკარგულების თანახმად განხორციელდა საქართველოს ზოგიერთი სამინისტროების ასიგნებებიდან თანხის გადაანაწილება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი გაიზარდა 20 000.0 ათასი ლარით. ამასთან, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების ასიგნებების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 25 ივნისის N1356 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები გაიზარდა 20 000.0 ათასი ლარით და ჯამში შეადგინა 340 000.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 326 368.0 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 103 952.9 ათასი ლარი.

ინფორმაცია 2015 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე

მლნ ლარი

დასახელება	სულ	
	01.01.2015	01.07.2015
ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	261.6	550.7
ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების ქვეანგარიში	83.7	19.5
სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთი	180.1	213.7
მიზნობრივი გრანტები	19.3	17.7
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური ნაშთი	38.4	42.8
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების კუთვნილი თანხები	4.8	83.3
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული სსიპ-ების და ააიპ-ების ნაშთი	0	82.1
სულ	587.9	1,009.8

საქართველოს კომერციულ ბანკებში, სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის ანგარიშებზე რიცხული სახსრები 2015 წლის პირველი 1 ივლისის მდგომარეობით შეადგენს 731.2 მლნ ლარს:

კომერციულ ბანკში რიცხული სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები (ვადიანი დეპოზიტი)	272.8
კომერციულ ბანკში რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ნაშთი	278.6
კომერციულ ბანკებში რიცხული სსიპ-ების და ააიპ-ების ნაშთი	179.8
სულ ანგარიშებზე რიცხული ნაშთი	731.20